ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 12 დეკემბრის N01-02/210 ბრძანების
N1 დანართი

(კოდიფიცირებული ცვლილებებით :
*17.12.2025, N01-02/228; **15.01.2026,** N01-02/02)*

პროფესიული განათლების მიმართულებით
ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) **პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები** (შემდეგში „ხარისხის მექანიზმები“) შემუშავებულია ბსუ-ში პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობის, რესურსების, შეთავაზებული სერვისების ხარისხის კონტროლის (არსებული მიღწევების შენარჩუნების) და ხარისხის განვითარების (მუდმივი ზრუნვა ხარისხის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის) უზრუნველყოფის მიზნით.
2. პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობის პროცესში (ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება) ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის, აღსრულებისა და განვითარების ადმინისტრირებას ახორციელებს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განვითარების ცენტრი (შემდეგში - ცენტრი), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით (ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის ფუნქციათა აღწერილობის შესაბამისად).

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი

1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (**PDCA**) პრინციპით:
ა) დაგეგმე (**Plan**) - განსახორციელებელი აქტივობების გეგმის ფორმულირება, მიმართულებებისა და მიზნების განსაზღვრა;
ბ) განახორციელე (**Do**) - აქტივობების განხორციელება;
გ) შეაფასე (**Check**) – განხორციელების შეფასება, მიღწეული შედეგების დასახულ მიზანთან შესაბამისობის შემოწმება;
დ) განავითარე (**Act**) - განვითარების საფეხურების ფორმულირება, გეგმების მოდიფიცირება, საჭიროების შემთხვევაში მიზნების წინასწარ ფორმულირება.
2. **დაგეგმვის ეტაპზე** ბსუ-ში პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/პირები (ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, ცენტრის ხარისხის მართვის კოორდინატორი) შეისწავლის არსებულ მდგომარეობას, ახდენს რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას და ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას.
3. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით იდენტიფიცირებულ პროცესთან (შემდეგში „პროცესი“) დაკავშირებული რისკ-ფაქტორი შესაძლოა იყოს შემდეგი:
ა) მარეგულირებელ აქტებში ცვლილებების განხორციელება;
ბ) პროცესის გავლენა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესრულებაზე;
გ) სხვა რისკ-ფაქტორები.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამასთან (შემდეგში „პროგრამა“) დაკავშირებულ რისკ-ფაქტორად შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგი:

ა) ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ბ) პროგრამის ახალ განმახორციელებელთა (პროფესიული განათლების მასწავლებელი, პარტნიორი დაწესებულება) მაღალი ხვედრითი წილი;

გ) კურსდამთავრებულთა დაბალი მაჩვენებელი;

დ) პროფესიულ სტუდენტთა გადინების მაღალი მაჩვენებელი;

ე) სხვა რისკ-ფაქტორები.

5. დაგეგმვის ეტაპზე ხდება გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირება და ხარისხის უზრუნველყოფის **1-წლიანი სამოქმედო გეგმის (შემდეგში - წლიური სამოქმედო გეგმა)** შემუშავება, შეიცავს ინფორმაციას შესამოწმებელი **პროცესის/პროგრამის,** მისი შემოწმების ფარგლების და შემოწმების სავარაუდო პერიოდის (წელი, კვარტალი) შესახებ. წლიური სამოქმედო გეგმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, ცენტრის წარდგინებით და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით (ვიზირებით).

6. **განხორციელების** ეტაპზე ხდება დაგეგმილი აქტივობების (რაც წლიურ სამოქმედო გეგმაშია ასახული) განხორციელება. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები (წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად) PDCA ციკლის მიხედვით **აფასებენ პროცესებს (წინამდებარე დოკუმენტის ფორმა N1-ის შესაბამისად).** შეფასება მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებსა და მოქმედ მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისი პროცესის/პროგრამის შესაბამისობის შეფასებას. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია გამოითხოვოს შემოწმებისთვის საჭირო დოკუმენტაცია ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან/დასაქმებულისაგან. ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია განახორციელოს პროცესში მონაწილე/პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა გამოკითხვა/ინტერვიურება.

7. **განხორციელების** ეტაპზე უზრუნველყოფილია:

ა) პროგრამის მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის რელევანტურობის შესწავლა;

ბ) მეცადინეობებზე დასწრება და ანალიზი;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა და ანალიზი;

დ) სასწავლო პროცესის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მსმენელთა მიერ, სპეციალური კითხვარის გამოყენებით და ანალიზი;

ე) პროფესიულ მასწავლებელთა შეფასება პროფესიულ სტუდენტთა/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მსმენელთა მიერ, სპეციალური კითხვარის გამოყენებით და ანალიზი;

ვ) კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა, სპეციალური კითხვარების საშუალებით და ანალიზი;

ზ) დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა, სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით და ანალიზი;

თ) შრომის ბაზრის კვლევა და ანალიზი;

ი) დასაქმების სტატისტიკის წარმოება.

8. მეცადინეობებზე დასწრების, კმაყოფილების კვლევის, თვითშეფასების კითხვარების ფორმები არ მტკიცდება. ცალკეული, კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/პირების მიერ ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით შემუშავდეს ერთჯერადი ტიპის ანკეტა/ კითხვარი და სხვა ფორმა.

9. **განხორციელების** ეტაპი ასევე მოიცავს პროფესიული სტუდენტის **შეფასების სისტემის ვერიფიკაციას.**

მუხლი 3. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია

1. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამის შემოწმების ფარგლებში. ვერიფიკაცია არის ცენტრში გამოყენებული შეფასების სისტემის მიმართ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი, ანუ შეფასების სისტემის **ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.**

2. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია:

ა) ვალიდურობა;

ბ) სანდოობა;

გ) გამჭვირვალეობა;

დ) სამართლოანობა;

ე) ობიეტურობა.

3. შეფასების სისტემა **ვალიდურია,** თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით (შეფასების სისტემის ვალიდურობის შემოწმების მიზნით ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა შინაარსობრივი კუთხით).

4. შეფასების სისტემა **სანდოა,** თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით (შეფასების სისტემის სანდოობის შემოწმების მიზნით ხორციელდება შეფასების მტკიცებულებების შესწავლა შინაარსობრივი კუთხით).

5. შეფასების სისტემა **გამჭვირვალეა,** თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია, წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

6. შეფასების სისტემა **სამართლიანია,** თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები), ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

7. შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის და სამართლიანობის შემოწმებისას შემოწმების ობიექტია შეფასების პროცესი, რაც ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლის (პირობების ნაწილში), პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიურების ან/და შეფასების პროცესზე დასწრების გზით.

8. შეფასების სისტემა **ობიექტურია,** თუ ყველა შესაფასებელი პირი, ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში, ერთნაირად არის შეფასებული (შეფასების სისტემის ობიექტურობის შემოწმებისას შეფასების ობიექტია შეფასების პროცესი, რაც ხორციელდება შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლის გზით.

მუხლი 4. ვერიფიკაციის განხორციელება

1. ცენტრი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით:

ა) შეფასების დროს გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) პროცესის ვერიფიკაცია;

გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

2. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს/ინფორმაციას:

ა) შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);

ბ) ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;

გ) ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;

დ) ვერიფიკაციის პროცედურა.

3. ვერიფიკაციის პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს **რისკების რეესტრს** (წინამდებარე მექანიზმების თანდართული **ფორმა N2).**

4. რისკების ანალიზის საფუძველზე ხდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა, კერძოდ: დამწყები

მასწავლებლის ფაქტორი; პრაქტიკული დავალებების სიმრავლე; ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა; საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება და სხვა.

5. ცენტრის დირექტორის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შედიან: ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, ცენტრის ხარისხის მართვის კოორდინატორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და დარგის სპეციალისტები. ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში.

6. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირი/პირები ახორციელებენ შემდეგ ფუნქციებს:

ა) ხარისხის მართვის მენეჯერი - ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში;

ბ) ხარისხის მართვის კოორდინატორი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში;

გ) დარგის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს (ერთი და იგივე დარგის სპეციალისტი ვერ განახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას).

7. შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია ხდება შერჩევით (ერთიდაიმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 50%). უარყოფითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებები სრულად მოწმდება.

8. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს წინამდებარე **მექანიზმების №3 ფორმის** (შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემა) შესაბამისად გაწერილ ეტაპებს (თანმიმდევრობის დაცვა მნიშვნელოვანია).

9. ვერიფიკაციის პროცედურა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

ა) ხარისხის მართვის მენეჯერი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში (საგაზაფხულო/საშემოდგომო მიღება) ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, შერჩევის მექანიზმის შესაბამისად (წინამდებარე **მექანიზმების №2** ფორმა - რისკების სისტემა);

ბ) შერჩეული ვერიფიკატორი/ვერიფიკატორები ახორციელებს/ახორციელებენ შეფასების პროცესზე დაკვირვებას, წინამდებარე **მექანიზმების №4 ფორმის** (შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი) შესაბამისად;

გ) ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად წარმოადგინოს ვერიფიკაციის დასკვნა (წინამდებარე მექანიზმების **№5 ფორმის** შესაბამისად), მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური;

დ) ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას ცენტრში სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

მუხლი 5. შეფასების და განვითარების ეტაპები

1. **შეფასების** ეტაპზე ხდება მიღწეული შედეგების შედარება, წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან და გადაწყვეტილების მიღება. მისაღები გადაწყვეტილების ტიპი გამომდინარეობს პრობლემის ხასიათიდან და შეიძლება იყოს:

ა) მაკორექტირებელი ტიპის - რომელიც გულისხმობს დაუყოვნებლივი გადაწყვეტილების მიღებას ისეთი პრობლემების შემთხვევაში, რომლებიც ერთჯერადად იჩენენ თავს და არ აქვთ რეგულარული ხასიათი;

ბ) ადაპტაციური ტიპის - რომელიც გულისხმობს დაწესებულებაში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას და გამოიყენება ისეთი პრობლემების მოგვარებისთვის, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ განმეორებითი ხასიათი. ადაპტაციური ტიპის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

უნდა შედგეს გაუმჯობესების გეგმა, რომლის აქტივობები, თავიხ მხრივ, ხდება ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ნაწილი.

2. განხორციელებული აქტივობების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ადგენს დასკვნას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ცენტრის დირექტორის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირებით წარედგინება ბსუ-ს რექტორს, პროფესიული განათლების მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების (რეკომენდაციების აღსრულების) თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

3. **განვითარების** ეტაპზე ხდება შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე განვითარების საფეხურების ფორმულირება და შესრულება.

4. **განვითარების** ეტაპზე განხორციელებული აქტივობები შესაძლოა იყოს:

ა) ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ტრენინგები;

ბ) არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, დადგენილი პროცედურის შესაბამისად;

გ) გამოკითხვების/კვლევის ანალიზის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის/ პროგრამების/სასწავლო და მატერიალური რესურსის გასაუმჯობესებლად და სხვ.

5. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

,,პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“

ფორმა N1

*(ცვლილება - 17.12.2025, N01-02/228; **15.01.2026,** N01-02/02)*

ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით **იდენტიფიცირებული ძირითადი და დამხარე პროცესები**				
ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით **ძირითადი პროცესები**	**პროცესზე პასუხისმგებელი პირები**	**პროცესის მარეგულირებელი აქტები**	**მონიტორინგს დაქვემდებარებული ქვეპროცესები**	**შეფასების პერიოდულობა**
სტრატეგიული დაგეგმვა	• ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი; • ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.	• ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; • პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;	• მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიებისა და ცვლილებების პროცედურები; • სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულება; • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების	• პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი; • ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;	• ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების	• პროგრამების დაგეგმვა - პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზის და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის საფუძველზე; • ახალი პროგრამების დამატების პროცედურა;	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად

პროგრამების განვითარება	• ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი; • ცენტრის სპეციალისტი (ხარისხის მართვის კოორდინატორი);	უზრუნველყოფის წესი; • ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. • საგანმანათლებლო პროგარმების პაკეტი.	• პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები; • პროგრამ(ებ)ის განვითარების მიზნით კვლევების ჩატარება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მომზადება/გადამზადების სპეციფიკიდან გამომდინარე სამიზნე ჯგუფები შეიძლება იყოს პროფესიული სტუდენტები, მსმენელები, კურსდამთავრებულები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ინსტრუქტორები, დამსაქმებლები, პარტნიორი ორგანიზაციები; • შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები	
პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის ორგანიზება	• ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; • ცენტრის სპეციალისტი (საწარმოო პრაქტიკის კოორდიანტორი).	• ბსუ-ს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგარმების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;	• სასწავლო პროცესის დაგეგმვა (სასწავლო გეგმა, კალენდარული გეგმა); • სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალისა და ნედლეულის გამოყენების და ნარჩენების მართვა; • სასწავლო პროცესის საჭირო მასალითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები; • სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება (დასწრება საკონტაქტო საათზე, შეფასების პროცესზე დაკვირვება, სასწავლო ცხრილისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სწრებადობის აღრიცხვის ფორმის კონტროლი); • ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება (პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად ინდ. გეგმის შემუშავება და პროცესის კონტროლი);	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად

			• პროფესიული სტუდენტის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების უზრუნველყოფა; • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები	
პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	• ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტმანეტი; • ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; • ცენტრის სპეციალისტი (საწარმოო პრაქტიკის კოორდიანტორი); • ცენტრის სპეციალისტი;	• ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების უზრუნველყოფის წესი; • ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცეცის მარეგულირებელი წესი; • ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წესი;	• პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის პროცედურები; • გარე და შიდა მობილობის პროცედურები; • კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურები; • ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები; • საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები; • პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებების მომზადება/გაფორმება; • ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება; • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები.	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად
დამხმარე პროცესები	**პროცესზე პასუხისმგებელი პირები**	**პროცესის მარეგულირებელი აქტები**	**მონიტორინგს დაქვემდებარებული ქვეპროცესები**	**შეფასების პერიოდულობა**
სტუდენტური სერვისები,	• ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და	• ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის	• პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა; • საკონსულტაციო და ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა;	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად

პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება	სპორტის დეპარტმანეტი; • ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; • ცენტრის სპეციალისტი (საწარმოო პრაქტიკის კოორდიანტორი);	მარეგულირებელი წესი;	• დამატებითი (ექსტრაკურიკულური) აქტივობების განხორციელება; • პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გათვალისწინებით მტკიცებულებები; • კურსდამთავრებულების კვლევა და კვლევის შედეგების ანალიზი; • პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერა; • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები.	
ადამიანური რესურსების მართვა	• ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ - საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია); • ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი; • ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.	• ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა; • ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა; • ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობა; • ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის <u>დამხმარე პერსონალის</u> ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.	• ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება; • პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა და შედეგები; • პერსონალის პირადი საქმეები, შემუშავებული სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები; • პერსონალის დატვირთვის სქემა და სტატისტიკური ინფორმაციის მართვა; • პერსონალის კმაყოფილების კვლევა და შედეგების გამოყენების მტკიცებულებები; • პერსონალის განვითარების საჭიროებებთან და განვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროროვება, გაანალიზება. • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად
მატერიალური რესურსების მართვა	• ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი;	• ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება;	• უძრავი და მოძრავი ქონების მართვა; • შესყიდვები შენახვა/დასაწყობება, ჩამოწერა); • პროგრამების შესაბამისად სასწავლო გარემოს აღჭურვა;	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად

	• ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი; • ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური; • ცენტრის ფინანსური მენეჯერი; • ცენტრის მატერიალური რესურსების მართვის მიმართულებით დასაქმებული	• ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება; • ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობა.	• საინფორმაციო რესურსების მართვა; • ადაპტირებული გარემოს მოწყობა/მართვა; • კომუნიკაციების მართვა (ელ. ენერგია, წყალი, გათბობა); • პროფესიულ სტუდნეტთა კმაყოფილების კვლევა და ანალიზი; • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები	
ფინანსურის რესურსების მართვა	• ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი; • ცენტრის ფინანსური მენეჯერი;	• ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკუირ დეპარტამენტის დებულება; • ცენტრის დებულება; • ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობა.	• ფინანსური ანგარიშგების მექანიზმები; • დაფინანსების ძირითადი წყაროების ანალიზი და დინამიკა; • დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები; • ცენტრის ბიუჯეტი და ფინანსური ანალიზი; • საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი და ანალიზი; • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები.	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად
სასწავლო რესურსის მართვა	• ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა; • ცენტრის ბიბლიოთეკარი.	• ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დებულება; • ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;	• საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული საბიბლიოთეკო რესურსები; • ელექტრონული კატალოგის ადმინისტრირება; • საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვა (ინვენტარიზაცია), განვითარების დინამიკა; • საბიბლიოთეკო სერვისების შესაბამისობის უზრუნველყოფა პროფესიული პროგრამების სასწავლო რესურსთან;	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად

			• საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებაზე ზრუნვა პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებით; • საბიბლიოთეკო სერვისებით კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გათვალისწინებით მტკიცებულებები; • პროფესიული სტუდენტების საკვანძო კომპეტენციების განვითარების მიზნით ბიბლიოთეკაში სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა; • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები	
საზოგადოებასთან ურთიერთობა	• ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; • ცენტრის სპეციალისტი (ხარიხის მართვის კოორდინატორი).	• ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება; • ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობა.	• ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირება; • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები.	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად
უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა	• ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური;	• ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების დებულება; • ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობა;	• პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; • წესრიგის დაცვის მექანიზმები; • ჰიგიენის დაცვის მექანიზმები; • უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები (შენობაში, ლაბორატორიებში); • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები.	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად

		• ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმის ინსტრუქტაჟები.		
საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა)	• ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახური; • ცენტრის სპეციალისტი.	• ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია; • ბსუ-ს საქმეთა ნაერთი ნომენკლატურა;	• საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა; • ზემოაღნიშნული ქვეპროცესების შესრულების მტკიცებულებები.	ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად

,,პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“

ფორმა N2

რისკების რეესტრი

გარემოება	**შესაძლო რისკი**	**რისკის დონის კოეფიციენტი** (დაბალი -1 ქულა; საშუალო - 2 ქულა; მაღალი - 3 ქულა; კრიტიკული - 4 ქულა)

,,პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“

ფორმა N3

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემა

1- ეტაპზე პასუხისმგებელი
2- მონაწილე
3- ინფორმირება

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/ მონაწილე	ხარისხის მართვის მენეჯერი	ვერიფიკატორი (განათლება)	ვერიფიკატორი (დარგი)	ინსტრუმენტის შემდგენელი	შემფასებელი	სტუდენტი	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი	ცენტრის დირექტორ
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა	1							3
ვერიფიკაციის სამიზნ ინსტრუმენტის შერჩე	1							
ვერიფიკატორების შერჩევა	1	2	2					
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი	1	2	2					
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება	1	2	2					
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა	1						2	
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა	2	1		2				
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით	2		1	2				

მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება	2	1			2		2	
მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება	2	1			2		2	
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასებ	2		1		2			
მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება	2		1		2			
შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება	2	1					2	
წინასწარი ინფორმირების ფაქტი გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად	2	1				2	2	
შეფასების დროის საკმარისობის შეფასებ	2		1	2				
შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება	2		1	2				
შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება	2		1	2				
შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება	2		1	2				
შეფასების პროცესის ფაქტობრივი	2		1		2	2		

გარემოებების შემოწმება								
მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით	**2**		**1**		**2**			
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა	**2**	**1**	**1**					
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრი გარემობებზე	**1**							
შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში)	**1**							
ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა	**2**	**1**	**1**	**3**	**3**		**3**	
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)	**2**			**3**	**3**		**1**	**3**
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)	**2**						**1**	
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)	**1**	**2**	**2**	**2**	**2**	**2**	**2**	**3**

,,პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“

ფორმა N4

ბსუ-ს პროფესიულ პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
მოდულის სახელწოდება:	
სწავლის შედეგი:	
შედეგის დადასტურების თარიღი:	
პროფესიული განათლები მასწავლებელი:	
პროგრამის ხელმძღვანელი:	
ვერიფიკატორი:	

შეფასების პროცესი	**დიახ**	**არა**
შეფასება დაიწყო დანიშნულ დროს		
შეფასება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრულ ადგილას		
შეფასება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტის გამოყენებით		
შესაფასებელ პირებს ჰქონდათ დროის სრულად გამოყენების შესაძლებლობა		
შესაფასებელი პირისათვის წინასწარ იყო ცნობილი შეფასების პირობები (დრო და ადგილი, ხანგრძლივობა, შეფასების კრიტერიუმები)		
შეფასების პროცესი უზრუნველყოფილი იყო საჭირო მასალებით და ნედლეულით		
შემფასებლის ჩართულობა შესაბამისია მოდულით გათვალისწინებული შეფასების მეთოდის/მეთოდების		
კომენტარები და რეკომენდაციები შეფასების პროცესთან დაკავშირებით :		

პროფესიული განათლების მასწავლებელი:

ვერიფიკატორი:

,,პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“

ფორმა N5

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

ვერიფიკაციის დასკვნა

პროფესიული პროგრამის სახელწოდება ----------

მოდული/სწავლის შედეგი ----------

შემფასებელი ----------

შეფასების პერიოდი ----------

ვერიფიკატორი ----------

ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი ----------

სისტემის ნაწილი	**შემოწმების მიდგომა**	**ინდიკატორი**	**დიახ/ არა**	**მტკიცებულება არას შემთხვევაშ**	**რეკომენდაცია**
ვალიდურობა					
შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.					
შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა სპეციალისტის მიერ	შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულების შესაბამისი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.			
სანდოობა					
შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.					
შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეულ შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება			
	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება			

	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება საკმარისია ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალებ ყველა კრიტერიუმს შეესაბამება			
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო			
გამჭვირვალეობა					
შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.					
შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში)	რეგულაცია ითვალისწინებ შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს			
	შეფასებული პირის ინტერვიურება, სხვა მტკიცებულება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრულ ვადების გათვალისწინებიდ და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს)			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრულ ვადების გათვალისწინებიდ რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება			
სამართლიანობა					
შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.					

შეფასების პროცესი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობი უზრუნველყოფა			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა			
	შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერ ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში).	შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით			
ობიექტურობა					
შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.					
შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა	ერთნაირად შესრულებულ ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული			
		სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართები შესრულებული დავალებებ სხვადასხვაგვარადაა შესრულებული			

ვერიფიკატორ(ებ)ი: 1.

2.

3.